ბურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*
*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

# *10 Nisan/ აპრილი 2023*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 688.6 | 6671.9 | 10.1% | 17.3 % | 5.3 % |

## Gürcistan Başbakanı Azerbaycan Cumhurbaşkanı İle Görüştü
## საქართველოს პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანის პრეზიდენტს შეხვდა



Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Azerbaycan Cumhuriyeti Cumhurbaşkanı Sn. İlham Aliyev ile görüştü.
Yüzyüze görüşmede taraflar iki ülke arasında çeşitli alanlarda verimli işbirliği ve bölgesel güvenlik konuları ele aldı.
Görüşmede Kafkasya bölgesiyle Avrupa'yı birbirine bağlayan tarihi Karadeniz denizaltı elektrik kablosu projesine değinildi. Sn. Irakli Garibashvili ile Sn. İlham Aliyev projenin dinamiklerini tartışıp proje ile ilgili planlarını gözden geçirdiler.
Ayrıca, Gürcistan ile Azerbaycan Cumhuriyeti arasında ticari ve ekonomik yöndeki yoğun işbirliğinin ana yönleri ele alınmıştı.
Sn. Irakli Garibashvili ile Sn. İlham Aliyev bölgedeki ve dünyadaki güvenlik ortamı ve zorluklarını tartışmışlardır. Ekonomik kalkınmanın sağlanması için bölgede barış ve istikrarın önemi vurgulandı. Sn. Başbakan Sn. Cumhurbaşkanı'na Gürcistan'ın bölgede barış ve istikrarın sağlanmasına yine katkıda bulunmaya hazır olduğunu teyit etti.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს შეხვდა.
პირისპირ შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობისა და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს.
საუბარი შეეხო კავკასიის რეგიონისა და ევროპის დამაკავშირებელი შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის ისტორიულ პროექტს. ირაკლი ღარიბაშვილმა და ილჰამ ალიევმა პროექტის მიმდინარეობის დინამიკაზე იმსჯელეს და პროექტთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები მიმოიხილეს.



ასევე, განიხილეს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით არსებული ინტენსიური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.
ირაკლი ღარიბაშვილმა და ილჰამ ალიევმა რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოსა და გამოწვევებზე იმსჯელეს. ხაზი გაესვა ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას. ირაკლი ღარიბაშვილმა ილჰამ ალიევს დაუდასტურა მზადყოფნა, საქართველომ კვლავაც შეიტანოს წვლილი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

## Irakli Garibashvili Macaristan Dışişleri ve Ticaret Bakanı İle Görüştü

## ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრს შეხვდა

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Macaristan Dışişleri ve Ticaret Bakanı Sn. Peter Szijjarto ile görüştü. Hükümet İdaresinde yerini almış toplantıda çeşitli alanlarda iki ülke arasındaki verimli işbirliğinin dinamikleri ve Gürcistan'ın Avrupa Birliği'ne entegrasyon sürecinde kaydettiği ilerlemeyi görüşüldü.



Yeşil enerji projelerinin ve Karadeniz bağlantısının bir öncelik olduğunu vurgulanıp bu bağlamda Karadeniz denizaltı elektrik kablosu projesinin stratejik önemininin altını çizildi.

Toplantıda artan ikili ticaretin gelişiminin dinamikleri üzerinde durulmuştur.

Sn. Garibashvili Sn. Szijjarto'ya Avrupa Birliği'ne entegrasyon yolundaki sarsılmaz desteği için teşekkürlerini sundu. Avrupa Komisyonu tarafından yayınlanmış raporun Gürcistan'ın Avrupa Birliği'ne entegrasyon yolunda kaydettiği ilerlemeyi net bir şekilde yansıttığını belirtilmiştir.

Toplantıya Macaristan'ın Tiflis Olağanüstü ve Tam Yetkili Büyükelçisi Sn. Anna Maria Shiko ile Gürcistan Dışişleri Bakanı Sn. Ilia Darchiashvili katılmışlardır.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრს პიტერ სიიარტოს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე განიხილეს სხვადასხვა სფეროში ორ ქვეყანას შორის არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის დინამიკა და ევროინტეგრაციის პროცესში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი.

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

ხაზი გაესვა მწვანე ენერგეტიკის პროექტებისა და შავი ზღვის დაკავშირებადობის პრიორიტეტულობას და ამ კონტექსტში შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტის სტრატეგიულ მნიშვნელობას.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა მზარდი ორმხრივი ვაჭრობის განვითარების დინამიკას.

ირაკლი ღარიბაშვილმა პიტერ სიიარტოს ევროინტეგრაციის გზაზე ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. აღინიშნა, რომ ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში მკაფიოდ ასახავს ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ წინსვლას.

შეხვედრას ესწრებოდნენ უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანა მარია შიკო და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი.

## Levan Davitashvili Gürcistan-Ermenistan İş Forumuna Katıldı

## ლევან დავითაშვილმა საქართველო-სომხეთის ბიზნეს ფორუმში მიიღო მონაწილეობა




Başbakan Yardımcısı Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili Gürcistan-Ermenistan iş forumuna katıldı.

Ekonomi Bakanı Ermenistan Bölge İdaresi ve Altyapı Bakanı Sn. Gnel Sanosyan ile birlikte iki ülkenin iş çevreleri temsilcileri önünde konuşma yaptı.

Bakan'ın ifade ettiği gibi, son yıllarda Gürcistan ve Ermenistan Respublikası arasındaki ticaret cirosu önemli ölçüde artmıştır. Cari yıl Gürcistan'dan Ermenistan'a yapılan ihracat 133 000 000 ABD Doları oluşturmaktadır. Beklentilerine göre, artış eğilimi yıl sonuna kadar devam edecektir. Ticari ilişkileri geliştirmek adına iki ülkenin özel sektörleri arasında da sıkı ilişkilerin mevcut olması önemlidir.

İş forumuna iki ülkeden tarım, inşaat, perakendecilik, turizm, bilişim teknolojileri, lojistik vb. sektörleri temsilen yaklaşık 450 iş insanı katılmıştır.

Başbakan Yardımcısı Gürcistan ile Ermenistan arasındaki üst düzey ziyaretlerin dinamiklerinin önemli oranda arttığını ve bunun özel sektörü de dahil olmak üzere, ülkeler arasındaki ilişkilerin daha da geliştirmesine katkıda bulunduğunu vurguladı.

Aynı gün, Sn. Levan Davitashvili ile Sn. Gnel Sanosyan arasında ikili ticari ve ekonomik ilişkilerin derinleşmesine dair yüzyüze bir görüşme gerçekleşti. Görüşmede Sn. Levan Davitashvili Ermenistan tarafını 26-27 Ekim tarihlerinde Tiflis'te yer alacak 4. Uluslararası İpek Yolu Forumu'na davet etmişti. Forum, Hükümet ve iş çevreleri arasında üst düzey diyalog için bir platform sağlamayı amaçlamaktadır.

ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საქართველო - სომხეთის ბიზნეს ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

ეკონომიკის მინისტრმა, სომხეთის ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიული ადმინისტრაციის მინისტრ გნელ სანოსიანთან ერთად, მოხსენება გააკეთა ორი ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლების წინაშე.

„ბოლო წლების განმავლობაში საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო ბრუნვა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. საქართველოდან ექსპორტი სომხეთში მიმდინარე წელს უკვე 133 მლნ დოლარს შეადგენს. ჩვენი მოლოდინით, ზრდის ტენდენცია წლის განმავლობაში გაგრძელდება. სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ უშუალოდ ორი ქვეყნის კერძო სექტორსაც შორის იყოს მჭიდრო კავშირი“, - განაცხადა მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას.

ბიზნეს ფორუმში ორი ქვეყნის 450-მდე ბიზნესმენმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც წარმოადგენდნენ ისეთ სექტორებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, სამშენებლო სექტორი, საცალო ვაჭრობა, ტურიზმი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ლოგისტიკა და სხვ.

ვიცე-პრემიერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის მაღალი დონის ვიზიტების დინამიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის ურთიერთობების შემდგომ განვითარებას, მათ შორის კერძო სექტორის დონეზე.

იმავე დღეს, ლევან დავითაშვილისა და გნელ სანოსიანის პირისპირ შეხვედრა გაიმართა, რომელზეც საუბარი ორმხრივი სავაჭრო - ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაზე წარიმართა. შეხვედრაზე ლევან დავითაშვილმა სომხეთის მხარე დაპატიჟა მეოთხე საერთაშორისო აბრეშუმის გზის ფორუმზე, რომლის გამართვა დაგეგმილია თბილისში, 26-27 ოქტომბერს და მიზნად ისახავს უზრუნველყოს პლატფორმა მაღალი დონის დიალოგისთვის მთავრობასა და ბიზნეს წრეებს შორის.

## Sn. Levan Davitashvili Sn. Edmondo Cirielli İle Görüştü
## ლევან დავითაშვილი ედმონდო ჩირიელის შეხვდა



Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili Gürcistan’ı çalışma ziyaretinde bulunan İtalya Dışişleri ve Uluslararası İşbirliği Bakan Yardımcısı Sn. Edmondo Cirielli ile görüştü.

Görüşmede ikili ticaret, yatırımlar, tarım, ulaştırma ve lojistik, enerji, turizm ve diğer alanlar da dahil olmak üzere ikili işbirliğinin öncelikli yönleri ele alınmıştır. Ayrıca ülkeler arasında kültür alanında da verimli işbirliğinin altını çizildi.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC Waikiki · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Gürcistan'ın Avrupa-Atlantik yapılarıyla bütünleşmesine yönelik attığı adımlarına dikkat verildi. Bu çabada İtalya'nın Gürcistan'a destek vermesi duyuruldu.

Görüşmede ekonomi alanındaki ortak çalışmalarını daha da derinleştirmek amacıyla İtalyan tarafı ile yoğun işbirliğinin devam edeceğini vurgulandı.

ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრის მოადგილე ედმონდო ჩირიელის შეხვდა, რომელიც საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის, ორმხრივი ვაჭრობის, ინვესტიციების, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის, ენერგეტიკის, ტურიზმის და სხვა დარგებთან დაკავშირებით. ასევე ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის ნაყოფიერ თანამშრომლობას კულტურის სფეროში.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს ნაბიჯებზე ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით. ითქვა, რომ იტალია მხარს უჭერს საქართველოს ამ მისწრაფებას.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა, რომ გაგრძელდება ინტენსიური თანამშრომლობა იტალიურ მხარესთან ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავების კუთხით.

## Dünya Bankası'ndan Ekonomik Büyüme Tahminleri
## ეკონომიკური ზრდის პროგნოზები მსოფლიო ბანკისაგან




Dünya Bankası Gürcistan için 2023 yılın ekonomik büyüme tahminini bankanın Ocak ayında yayınladığı tahminden 0.4 puan daha yüksek olan %4.4'e kadar arttı. Dünya Bankası 2022 yılında oluşan ekonomik koşulların-keskin bir şekilde artmış havalelerin ve turizmin yenilenmesinin Gürcistan'da %10.1'lik bir ekonomik büyümeye yol açtığını belirtiyor, buna bağlı olarak 2023 yılında nispeten düşük bir büyüme bekleniyor, 2024 yılı için ise ekonomik büyümenin %5 olacağını öngörülüyor. Güney Kafkasya'da Dünya Bankası Bölge Müdürü Sn. Sebastian Molineus'a göre, büyük miktarda fonların akışı kurun sabitlenmesine yol açıp enflasyon baskısını durdurup borç seviyesini düşürmüş oldu. Enflasyon, 2023 yılında da muhtemelen kademeli olarak azalmasına devam edecektir, fakat fiyat baskıları bazı gıda ürünlerini ve konut kiralarını etkilemeye devam edebilir.

მსოფლიო ბანკმა საქართველოს 2023 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4.4%-მდე გაზარდა, რაც ბანკის მიერ იანვარში გამოქვეყნებულ პროგნოზთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით მეტია.

მსოფლიო ბანკი აღნიშნავს, რომ 2022 წელს შექმნილმა ეკონომიკურმა გარემოებებმა - მკვეთრად გაზრდილმა გადმორიცხვებმა და ტურიზმის აღდგენამ საქართველოში 10.1%-იანი ეკონომიკური ზრდა განაპირობეს. მათთან მიმართებით, 2023 წელს შედარებით დაბალი ზრდა არის მოსალოდნელი, 2024 წლისთვის ეკონომიკური ზრდა 5%-ზე არის პროგნოზირებული.

"დიდი მოცულობით ფულადი ნაკადების შემოდინებამ ხელი შეუწყო ლარის გამყარებას, რამაც შეაკავა ინფლაციური წნეხი და შეამცირა ვალის დონე. ინფლაცია სავარაუდოდ, გააგრძელებს ეტაპობრივ კლებას 2023 წელს, თუმცა ზოგიერთ სასურსათო პროდუქტზე და საცხოვრებელ იჯარაზე ფასებით გამოწვეული წნეხის ზემოქმედება შეიძლება გაგრძელდეს," - აღნიშნავს სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი, სებასტიან მოლინეუსი.

Bölgedeki Ülkeler İçin 2023 Yılı Ekonomik Büyüme Tahminleri Aşağıdaki Gibidir:
**რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზები 2023 წლისთვის ასე ნაწილდება:**

**Gürcistan-%4.4/ საქართველო - 4.4%;**
**Ermenistan- %4.4/ სომხეთი - 4.4%;**
**Azerbaycan-%2.2/ აზერბაიჯანი - 2.2%;**
**Ukrayna-%0.5/ უკრაინა - 0.5%;**
**Rusya- %0.2/ რუსეთი- 0.2%**
**Türkiye- %3.2/ თურქეთი - 3.2%;**
**Kazakistan- %3.5/ ყაზახეთი - 3.5%;**
**Moldova- %1.8/ მოლდოვა - 1.8%.**

Dünya Bankası'nın tahminine göre, bölge ülkelerinde (Ukrayna ve Rusya hariç) büyüme ortalama %2.4 olacaktır.

მსოფლიო ბანკის პროგნოზით, რეგიონის ქვეყნებში (უკრაინის და რუსეთის გამოკლებით) ზრდა საშუალოდ 2.4% იქნება.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

## Mukhiani'de Radio City Yıl Sonuna Kadar Faaliyete Geçecektir

## მუხიანში, რადიოქალაქი ფუნქციონირებას წლის ბოლოსთვის დაიწყებს



Mukhiani'de Radio City 2023 yılın sonuna kadar faaliyete geçeceketir. "Adjara Group" tarafından duyurulduğu gibi, 2023 yılın sonunda ortak çalışma alanları ve ilgili hizmetler toplum için açılacaktır.

Adjara Group: "Bu aşamada Radio City arazisindeki tüm binaların rekonstrüksiyon çalışmaları ve dış mekanların düzenlenmesi yoğun olarak devam etmektedir. Projenin ilk etapı kapsamında 2023 yılın sonunda ortak çalışma alanları ve ilgili hizmetler halka açılacaktır".

2019 yılında Tiflis Belediye Başkanı Sn. Kakha Kaladze tarafından Mukhiani'deki radyo fabrikasının bulunduğu arazisinde Radio Kent'in inşa edilmesi anons edildi. İhale kazanan şirket orada yemek tesisleri, alışveriş mekanları, gece kulübü, multifonksiyonel konser salonu, sergi alanı, fitnes ve diğer spor alanları, yüzme havuzu, dinlenme alanı, sinemalar, eğlence merkezi, medya kütüphanesi, küçük bir çocuk şehri, bilim müzesi, pişirme alanı, çalışma ve üretim alanları vb. tesisleri düzenlemekle yükümlüydü.

მუხიანში, რადიოქალაქი ფუნქციონირებას 2023 წლის ბოლოსთვის დაიწყებს. როგორც „აჭარა ჯგუფმა" განაცხადა, 2023 წლის ბოლოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება საერთო სამუშაო სივრცეები და მასთან დაკავშირებული შესაბამისი სერვისები.

„ამ ეტაპზე, რადიოქალაქში აქტიურად მიმდინარეობს ტერიტორიაზე არსებული ყველა შენობის რეკონსტრუქცია და გარე სივრცეების მოწესრიგება. პროექტის პირველი ფაზის განვითარების ფარგლებში, 2023 წლის ბოლოს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება საერთო სამუშაო სივრცეები და მასთან დაკავშირებული შესაბამისი სერვისები", - განაცხადეს „აჭარა ჯგუფში".

მუხიანში, რადიოქარხნის ტერიტორიაზე რადიოქალაქის მოწყობა თბილისის მერმა ბატონმა კახა კალაძემ 2019 წელს დააანონსა და აღნიშნა, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იყო ადგილზე მოეწყო კვების ობიექტები, სავაჭრო სივრცეები, ღამის კლუბი,

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

მულტიფუნქციური საკონცერტო სივრცე, საგამოფენო სივრცე, ფიტნეს და სხვა ტიპის სპორტული სივრცეები, საცურაო აუზი, სარეკრეაციო სივრცე, კინოთეატრები, გასართობი ცენტრი, მედიათეკა, მინი საბავშვო ქალაქი, მეცნიერებათა მუზეუმი, კულინარიის სივრცე, სამუშაო, საწარმო სივრცე და ა.შ.

**Karadeniz Denizaltı Elektrik Kablosu Projesine Dair Üst Düzey Toplantı Düzenlendi**

**შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის თაობაზე მაღალი რანგის შეხვედრა გაიმართა**




Karadeniz Denizaltı Elektrik Kablosu Projesi konusunda işbirliğini ele almak amacıyla Tiflis'te Gürcistan, Romanya, Azerbaycan ve Macaristan Devlet Kurumlarının ilk üst düzey toplantısı düzenlendi.

Başbakan Yardımcısı Sn. Levan Davitashvili'nin açtığı söz konusu toplantı, Gürcistan, Azerbaycan, Romanya ve Macaristan Hükümetleri arasında yeşil enerji geliştirme ve iletimi alanında stratejik ortarklık anlaşması bazında gerçekleşti. Anlaşmaya katılan ülkeler yeşil enerji değişimi ve enerji istikrarı sağlanması için enerji alanında işbirliğinin vazgeçilmez olduğunu vurgulamaktadırlar.

Anlaşmanın önemli konularından biri Karadeniz'de denizaltı elektrik kablosu projesiydi-hayata geçirilmesi durumunda, 1 195 kilometre uzunluğundaki bir kablo Romanya'ya bağlanacaktır (1100 Kilometre sualtı ve 95 kilometre kara kablosu) dolaysıyla Güney Kafkasya ülkeleri ve Romanya genişletilmiş ihracat imkanlarından yararlanarak elektrik piyasasının saatlik ücretini uygulayıp ticaret yapabilecekler.

Karadeniz denizaltı elektrik kablosu projesi Gürcistan Hükümeti'nin desteği ve Gürcistan ve Romanya'nın iletim sistemi işletmecileri "Gürcistan Devlet Elektrik Sistemi" ve "Transelectica"nin işbirliğiyle hayata geçirilecektir.

Bu aşamada "Gürcistan Devlet Elektrik Sistemi" CESI danışmanlık şirketinin desteğiyle projenin teknik-ekonomik araştırmasını yürütmektedir. Proje kapsamında ilerleyen zamanlarda ayrıca çevresel ve sosyal etkileri değerlendirmesiyle Karadeniz'in dibinin jeofiziksel ve jeoteknik araştırmaları da yapılacaktır. Araştırmalar sayesinde proje uygulanması imkanları ve en iyi yöntemleri belirlenecektir.

Toplantıya ayrıca Gürcistan Maliye Bakanı Sn. Lasha Khutsishvili, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Sn. Romeo Mikautadze, Macaristan Ticaret ve Dışişleri Bakanı Sn. Peter



Szijjarto, Azerbaycan Yenilenebilir Enerji Ajansı Müdürü Sn. Cavid Abdullayev, Romanya Enerji Bakanlığı Devlet Bakanı Sn. George Niculescu ile başka üst düzey misafirler katıldılar.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის თაობაზე თანამშრომლობის განხილვის მიზნით, თბილისში საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის სამთავრობო უწყებების პირველი, მაღალი რანგის შეხვედრა გაიმართა.

აღნიშნული შეხვედრა, რომელიც ვიცე-პრემიერმა ლევან დავითაშვილმა გახსნა, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე შედგა. შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნები ხაზს უსვამენ ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის აუცილებლობას მწვანე ენერგოგაცვლისა და ენერგეტიკული სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

შეთანხმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი წარმოადგენდა - პროექტის განხორციელების შემთხვევაში, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება (1100 კმ წყალქვეშა და 95 კმ. სახმელეთო კაბელი), რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს, ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ვაჭრობა.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს და რუმინეთის გადამცემი სისტემის ოპერატორების „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" და „ტრანსელექტრიკა"-ს ხელშეწყობით განხორციელდება.

ამ ეტაპზე, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" საკონსულტაციო კომპანია CESI-ს დახმარებით ახორციელებს პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას. სამომავლოდ, პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდება გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და შავი ზღვის ფსკერის გეოფიზიკური და გეოტექნიკური კვლევები. მათი მეშვეობით დადგინდება პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები და საუკეთესო გზები.

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძე, უნგრეთის ვაჭრობისა და საგარეო საქმეთა მინისტრი პიტერ სიიარტო, აზერბაიჯანის განახლებადი ენერგიის სააგენტოს დირექტორი ჯავიდ აბდულაევი და რუმინეთის ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ჯორჯ ნიკულესკუ და სხვა მაღალი რანგის სტუმრები.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING



## 2024 Yılından İtibaren Ülke Genelinde Sırasında Yeşillendirme Bileşenini Entegre Olması Zorunlu Olacaktır

## 2024 წლიდან მშენებლობისას გამწვანების კომპონენტის ინტეგრირება მთელ ქვეყანაში სავალდებულო გახდება



## Finlandiya NATO Üyesi Oldu

## ფინეთი NATO-ს წევრი გახდა

## Beeline faaliyetlerine Cellfie Markası Altında Devam Edecektir

## Beeline ოპერირებას Cellfie-ს ბრენდით გააგრძელებს

### Cari Yıl Gürcistan Ulusal Bankası Piyasadan $240 000 000’dan Daha Fazlasını Satın Almıştı

### წელს სებ-მა ბაზრიდან $240 მილიონზე მეტი შეისყიდა





### Rusya Ermenistan’dan Süt Ürünleri İthalatını Yasakladı

### რუსეთმა სომხეთიდან რძის პროდუქტების იმპორტი აკრძალა

### Nokia Ay’a 4G İnterneti Getirecektir

### Nokia 4G-ინტერნეტს მთვარეზე გაიყვანს




ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING




## I Çeyrekte Kutaisi Havalimanı'ndaki Yolcu Akışı %61 Oranında Arttı

## I კვარტალში ქუთაისის აეროპორტში მგზავრთნაკადი 61%-ით გაიზარდა

### Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.5330 TRY/GEL – 0.1315 EUR/GEL – 2.7655 GBP/GEL – 3.1513

USD/GEL

03 - 10 Nisan 2023




USD/TR

03 - 10 Nisan 2023




TRY/GEL

03 - 10 Nisan 2023

BTC – 28 320 5

03 - 10 Nisan 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC Waikiki იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING


0.144756
0.143636
0.142986
Jan 6, 12:00
Jan 7, 08:45
Jan 7, 23:15
Jan 8, 13:45
Jan 9, 04:15
Jan 9, 18:45
Jan 10, 09:45
Jan 11, 01:30
Jan 11, 17:00
Jan 12, 08:40
Jan 13, 11:28


0.0000530622
0.0000504209
0.0000484209
0.0000464209
Jan 13, 11:00
Jan 14, 09:30
Jan 15, 01:15
Jan 15, 17:00
Jan 16, 08:45
Jan 17, 00:30
Jan 17, 16:15
Jan 18, 08:00
Jan 18, 23:50
Jan 20, 10:20